

## განცხადება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის თანახმად, სამეურვეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსი ჩატარდება ორ ტურად.

პირველი ტურისთვის ნებისმიერმა კანდიდატმა ელექტრონული ფორმით უნდა წარმოადგინოს მხოლოდ CV შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: i.zakariashvili@gpb.ge. კანდიდატებმა CV უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 5 მარტიდან 2013 წლის 14 მარტის ჩათვლით. კანდიდატების მიერ CV წარმოდგენის შემდეგ, აღნიშნული დოკუმენტი მყისიერად (სამუშაო დღეებში, 09:00-18:00 საათამდე) განთავსდება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ვებ-გვერდზე [www.gpb.ge](http://www.gpb.ge).

კანდიდატების მიერ წარმოდგენილი CV შესწავლის და შერჩევის საფუძველზე გამოვლინდებიან მე-2 ტურში გასული კანდიდატები.

მე-2 ტურში გასულ კანდიდატებთან გაიმართება გასაუბრება და გამოვლინდება გამარჯვებული კანდიდატი. სამეურვეო საბჭოს მიერ გამარჯვებული კანდიდატის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღნიშნული კანდიდატი მისი გამარჯვებულად გამოცხადების დღიდან 5 სამუშაო დღის ვადაში სამეურვეო საბჭოს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განცხადებას სამეურვეო საბჭოს სახელზე;
2. ხელწერილს, რომ კანდიდატი გაეცნო „მაუწყებლის შესახებ“, საქართველოს კანონს, კერძო აღნიშნული კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნების ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე;
3. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობას;
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;
5. ცნობას იმის შესახებ, რომ არ იმყოფება გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;
6. სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობას;
7. სამედიცინო ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მე-2 ტურის დანიშვნის ვადა, ასევე, 1-ლი და მე-2 ტურის შედეგები სამეურვეო საბჭოს მიერ გამოცხადდება დამატებით.

იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული კანდიდატი დადგენილ ვადაში ვერ წარმოადგენს ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებს, სამეურვეო საბჭოს მიერ არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება მისი გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ და ხელახლა გამოცხადდება ღია კონკურსი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის დანიშვნასთან დაკავშირებით.

წინამდებარე განცხადება და ინსტრუქცია კონკურსის შესაბამისად სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ განთავსდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ვებ-გვერდზე. წინამდებარე განცხადება ასევე განთავსდეს გაზეთ „24 საათში“.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“

სამეურვეო საბჭოს თავჯდომარე

ლევან გახელაძე